

ს სოციალური მეწარმეობა საქართველოში

- ✓ პროექტი "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად" დასრულდა
- ✓ ახალი სოციალური საწარმოები თბილისში
- ✓ სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის სამეგრელოში

ს სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

- ✓ სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი ბრაზილიაში

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

→ პროექტი "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად" დასრულდა

ჩვენს წინა გამოცემაში თქვენ შესაძლებლობა გქონდათ გაცნობოდით "ბრიტანეთის საბჭოს", "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა" და "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის" ერთობლივი პროექტის "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად" პირველ ეტაპს (იხ. [საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი #3](#)) პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია და სტუდენტების აქტიური ჩართვა სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში.

განვლილ პერიოდში გაიმართა პროექტის მეორე, დასკვნითი ეტაპი. შიდასაუნივერსიტეტო კონკურსებში გამარჯვებულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს დასკვნით უნივერსიტეტთაშორის კონკურსში. ამისთვის გუნდებმა თავად შეარჩიეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათთან ერთობლივად შეიმუშავეს სოციალური საწარმოს შექმნის და ამოქმედების პროექტი. პროექტებზე მუშაობისას სტუდენტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუშაობდნენ გუნდურად, მჭიდრო

თანამშრომლობის რეჟიმში და ეს იყო საინტერესო და სასარგებლო გამოცდილება ორივე მხარისთვის. სტუდენტებისთვის ეს იყო პრაქტიკაში რეალიზება იმისა, რასაც ისინი აქამდე თეორიულად სწავლობდნენ, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეს იყო ახალგაზრდების ნოვატორული, შემოქმედებითი პოტენციალის ინტეგრირება მათი ორგანიზაციების განვითარების გეგმებში.



“პროექტზე მუშაობის პერიოდში ჩვენ პრაქტიკული შეხება გვქონდა სოციალურ საწარმოსთან. ამან საშუალება მოგვცა, უფრო დავახლოვებოდით პარტნიორ ორგანიზაციებს და მათთან თანამშრომლობით დაუვიწყარი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება შეგვეძინა.” - აცხადებდნენ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტები, გუნდი Little miss sunshine.
“ჩვენთვის ძალიან საინტერესო და სასიამოვნო აღმოჩნდა სტუდენტურ გუნდთან ურთიერთთანამშრომლობის პროცესი. სტუდენტების სახით ჩვენმა ბენეფიციარებმა ახალი მეგობრები, ხოლო ჩვენ კი ახალი მხარდამჭერები შევიძინეთ. ეს გოგონები ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები არიან და ვფიქრობთ, მათი ცოდნა, ახალგაზრდული ენთუზიაზმი და კრეატიულობა სამომავლოდ დაგვეხმარება სათანადოდ დავგეგმოთ და განვახორციელოთ ჩვენი ორგანიზაციისთვის აქტუალური შემოსავალზე ორიენტირებული საქმიანობა”. - განაცხადა კავშირი "რეა"-ს ხელმძღვანელმა, ელისო რეხვიაშვილმა.



დასკვნით კონკურსზე ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო პროექტი, რომელიც წარადგინეს თსუ-ს სტუდენტების გუნდმა eQuality და ორგანიზაციამ - მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“.

“პროექტმა თვალთახედვა შეგვიცვალა ბევრ სოციალურ საკითხზე. საბოლოოდ დაგვარწმუნა იმ მოსაზრების ჭეშმარიტებაში, რომ ადამიანები არ უნდა ვიყოთ გარემოზე დამოკიდებულნი, არამედ უნდა შევქმათ ისეთი გარემო, რომელიც ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის საჭირო პირობებს უზრუნველყოფს.” - გამარჯვებული გუნდის eQuality –ის წევრი, ნათია ჯაოშვილი, თსუ.

კონკურსის მთავარი პრიზი (**Blackberry Pearl**) დააწესა კომპანია მაგთიკომმა, გარდა ამისა გამარჯვებული გუნდის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ სტაჟირება გაიარონ ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის და ალდაგი ბისიას კომპანიებში.

რაც შეეხება გამარჯვებულ პროექტს, მის დასაფინანსებლად “ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა” გამოყო 15000 ლარი, ხოლო გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციას საშუალება აქვს ქ. თბილისის მერიის მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დამატებითი დაფინანსება მოიძიოს იაფი საკრედიტო რესურსის სახით.

“თსუ სტუდენტები ბოლო წლებში საკმაოდ მაღალი ინტენსივობით არიან ჩართული სხვადასხვა პროექტებში, მაგრამ აღნიშნული პროექტი სხვებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული აღმოჩნდა. ამ განსხვავებულობას სამი მთავარი მიზეზი განაპირობებდა:

- პროექტი სტუდენტებისთვის ახალ თემას ეხებოდა;
- პროექტი სოციალური ხასიათის და დატვირთვის იყო;
- სტუდენტები თავიდანვე მიხვდნენ, რომ პროექტი მათ დაგროვოლი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის საშუალებას მისცემდა.” -განაცხადა თსუ-ს მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელმა, დავით ნარმანიამ.

პროექტმა - “სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად” – ნათლად დაგვანახა, რომ ახალგაზრდების ნოვატორული პოტენციალი სწორედ ის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც საქართველოშიც უნდა იყოს ჩართული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევაში.



➡ ახალი სოციალური საწარმოები თბილისში

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ცხოვრების შანსი“ (Life Chance) 2010 წელს დაფუძნდა ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების ჯგუფის მიერ, რომელიც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ინტენსიურად მუშაობდა სოციალურ საკითხებზე და მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ კოჯრის ბავშვთა სახლთან. ორგანიზაციის მიზანია სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს მისცენ გრძელ-

ვადიანი დასაქმების შესაძლებლობა და ხელი შეუწყოს მათ დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

სოციალური საწარმო "Auto Life"

ახალგაზრდებში პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველსაყოფად 2011 წლის შემოდგომაზე ქ. თბილისში ორგანიზაციამ დაარსა სოციალური საწარმო ავტო-სერვის ცენტრი - "Auto Life".

დაარსების დღიდან აღნიშნული სერვის-ცენტრში ავტომობილის მექანიკასა და ელექტრონიკის სხვა მნიშვნელოვან დარგებში პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნასა და გამოცდილებას იღებენ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები. ცენტრი ასევე აღჭურვილია მაღალი ხარისხის პრაქტიკული ინფრასტრუქტურით და მომხმარებელს სთავაზობს ავტო სერვისის სრულ პაკეტს.

სასწავლო ცენტრის მიზანია, ერთის მხრივ, ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფის ახალგაზრდებმა ავტო შემკეთებლის განხრით გაიარონ საწარმოო პრაქ-ტიკა და მიიღონ თანამედროვე სტანდარტების პროფესიული განათლება, ხოლო, მეორეს მხრივ, საწარმომ ბაზარზე შეინარჩუნოს კონკურენტუნარი-ანობა.

პირველ ეტაპზე გერმანიიდან მოწვეული ექსპერტის დახმარებით შემუშავდა პროფესიული მომზადების 2 წლიანი კურსები ავტო შემკეთებლის სფეროში. სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სასწავლო ცენტრის კურსდამთავრებულები გადიან ტესტირებას, ხოლო მათ შორის წარჩინებული კვალიფიკაციის აიმაღლების მიზნით გაცვილ-ითი პროგრამის ფარგლებში გაემგზავრებიან პარტნიორ გერმანულ ორგანიზაციებში.

ამ ეტაპზე ავტო-სერვის ცენტრ - "Auto Life"-ში, პროფესიონალ ხელოსნებთან ერთად დასაქმებულია 1 პრობაციონერი, 1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელი, 2 სიღარიბის ზღვარს მყოფი ახალგაზრდა.



სოციალური საწარმო ბარ-რესტორანი "Re-Life"

საზოგადოებრივი ორგანიზაცია 2006 წლიდან ახორციელებს არტ-თერაპიულ კურსებს კოჯრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან, სადაც აღსაზრდელები გადიან წინაპროფესიული მომზადების კურსებს და შეისწავლიან სხვადასხვა ხელობას, თიხაზე მუშაობას, ქსოვას, დიასახლისობას და სხვა.

კულინარიის კუთხით შექმნილი ცოდნის გაღრმავების მიზნით, ორგანიზაციამ გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა პროფესიული გადამზადების მეორე ცენტრი. სწორედ ამ მიზნით, ერეკლე II-ს ქუჩაზე 2011 წლის ნოემბერში გაიხსნა ბარ-რესტორანი "Re-Life", სადაც მზარეულის, მიმტანის და ბარმენის პროფესიებს დაეუფლებიან ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების წარმომადგენლები და დევნილები.

კაფე-ბარში "Re-Life", მისი სასწავლო-პროფესიული დატვირთვიდან გამომდინარე, არის როგორც ევროპული სტილის რესტორანი, ისე ლაუნჯ-ბარი. აქ შესაძლებელია როგორც არტ-გამოფენების, მინი კონფერენციების და ოფიციალური სადილების ორგანიზება, ასევე ცოცხალი მუსიკის თანხლებით საღამოს სასიამოვნო გარემოში გატარებაც. დღეისათვის კაფეში მზარეულის პროფესიას ორი ახალგაზრდა ეუფლება. პარალელურად მიმდინარეობს საკონკურსო პროცესი. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფებიდან ყოველწლიურად შეირჩევა 10-15 ახალგაზრდა, რომლებიც დაეუფლებიან მათთვის სასურველ პროფესიებს, ხოლო პრაქტიკული და თეორიული კურსების გავლის შედეგად შექმნილი პროფესია მათ მომავალ დასაქმებაში დაეხმარებათ. ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის გრძელვადიანი დასაქმების შანსის მიცემისა და სრულფასოვანი პროფესიის შექმნის მიზნით შექმნილი კაფე-ბარი "Re-Life"-ის პოპულარიზაციასა და მზარდაჭერაში საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ. მათში კაფეს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი ესტუმრა. 14 ივნისს კაფე "Re-Life"-ში ბავშვთა სახლის აღსაზრდელების დასახმარებლად მორიგი საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა, კერძოდ, სტუმრებმა თამარ ქოთილაიძის ფოტო-გამოფენითა და მარიკო ებრაიძის კონცერტით ისიამოვნეს.

ორგანიზაციას "ცხოვრების შან-სი" ორივე სოციალური საწარმოს ჩამოყალიბებაში დიდი დახმარება გაუწიეს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ისე მიიღეს დაფინანსება შემოწირულობის სახით კონკრეტული საქმიანობისთვის. ფინანსური პარტნიორობას უწევს საერთაშორისო ორგანიზაცია **FIB e.V**, რომელიც ასევე არის მათი ოფიციალური პარტნიორიც, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის თბილისის პროექტთა ბიურო **DVV**, გერმანიის და შვეიცარიის საელჩოები საქართველოში და ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.



 სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის სამეგრელოში

ასბ წარმოადგენს კეთილდღეობის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციას, რომელიც 1888 წელს შეიქმნა გერმანიაში და ამჟამად მსოფლიოს მასშტაბით მოღვაწეობს. საქართველოში ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია კატასტროფების რისკის შემცირება და სოციალური სერვისების შექმნა/განვითარება, რაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივ ხელისუფლებასთან და პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება. ასბ-ს ხედვა იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური სერვისების მიწოდება სოციალური საწარმოების მეშვეობით უნდა მოხდეს და მან ხელი უნდა შეუწყოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმებას.

სწორედ აღნიშნული კუთხით 2012 წლის 1 მარტს ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაცია "თანხმობასთან" ერთად სამეგრელოში დაიწყო პროექტი სახელწოდებით: "სოციალური წარმოების შექმნა და დევნილი და მასპინძელი თემების ერთობლივი ეკონომიკური აქტივობა ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონში." პროექტს აფინანსებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და მის ძირითად მიზანს ადგილობრივი ინიციატივების საფუძველზე სოციალური საწარმოების შექმნა წარმოადგენს. პირველ ეტაპზე ჩატარდა 20 საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ასევე შეასავალი სემინარი სოციალური მეწარმეობით დაინტერესებულ პირთათვის. წლის ბოლომდე იგეგმება ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტირებით სოციალური მომსახურების სფეროში ხუთი იდეის შერჩევა, რომელთა ინიციატორებსაც ტრენინგებს ბიზნეს გეგმის შედგენაში და შემდგომში საკონსულტაციო მომსახურებას სოციალური საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი გაუწევს. 2013 წლიდან მათ უკვე შეეძლებათ საქმიანობის დაწყება და სოციალური სერვისების მიწოდება მოსახლეობისათვის.



სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

→ სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი ბრაზილიაში

სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი გლობალური მნიშვნელობის ღონისძიებაა და იგი ხელს უწყობს სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას მსოფლიოში. წელს ფორუმი გაიმართება 16 - 18 ოქტომბერს რიო დე ჟანეიროში, ბრაზილიაში.

სოციალური მეწარმეობის ყოველწლიური მსოფლიო ფორუმი (SEWF) დაარსდა 2008 წელს საერთაშორისო წამყვანი ჯგუფების მიერ სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად. SEWF-ს მთავარ მიზანს წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის ლიდერები და მისი დამცველები შეკრიბოს ყველა კონტინენტიდან, რათა მათ ითანამშრომლონ, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და ხელი შეუწყონ სოციალური მეწარმეობის განვითარებას მასპინძელ ქვეყანაში.

2012 წლის ფორუმის თემას წარმოადგენს "სოციალური მეწარმეობა: ინვესტირება გავლენის შესაქმნელად" და ხაზს უსვამს კაპიტალის მოზიდვას სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის.

ფორუმში მონაწილეობას მიიღებს ათასზე მეტი სოციალური საწარმოს, ფონდების, კერძო საწარმოების, ბიზნესისა თუ მთავრობის წარმომადგენელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. სესიების განმავლობაში, სიტყვით გამოვა 100-ზე მეტი სფეროში გამოჩენილი პიროვნება. დღის წესრიგში შევა ასევე რიოსა და ბაიას ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, სამუშაო ტრენინგების ჩატარება, გაიმართება პრეზენტაციები, სოციალური მეწარმეობის აღსანიშნავი გალა საღამო და სხვა მრავალი საინტერესო ღონისძიება.

მონაწილეთა რეგისტრაციის პროცესი დაწყებულია. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:

<http://www.nesst.org/sewf/agenda/>



✓ თუ თქვენ აღარ გასურთ მიიღოთ [სოციალური მეწარმეობის ელექტრონული ჟურნალის](#) შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge

[დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით >>>](#)



ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"



"ღია საზოგადოება - საქართველო"



"ეკლესიის განვითარების სააგენტო"